

კავშირი ბავშვებში აღქმულ მარტოობის განცდასა და მათ ფსიქიკურ  
ჯანმრთელობას შორის

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: პროფესორი თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

10.06.2022

## აბსტრაქტი

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს კავშირის დადგენას ბავშვებში აღქმულ მარტოობის განცდასა და მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობას შორის. ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობა საკმაოდ ფართო ცნებაა, რომელიც შესაძლოა ბევრ ასპექტს მოიცავდეს, თუმცა ამ კვლევის ფარგლებში ის დაიყოფა ხუთ კომპონენტად. ესენია: ემოციური სირთულეები, ქცევითი პრობლემები, ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობა, თანატოლებთან ურთიერთობა და პროსოციალური ქცევა. კვლევის პროცესში შეფასდა კავშირი ბავშვებში მარტოობის განცდასა და ზემოთ ჩამოთვლილ ხუთ კომპონენტს შორის.

საკითხი, თავისთავად, მნიშვნელოვანია, რადგან დღესდღეობით სტატისტიკურად სულ უფრო მეტად იზრდება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ბავშვების რიცხვი. ამასთანავე, უფრო და უფრო მეტი ბავშვი გამოხატავს მარტოობის განცდას ადრეული ასაკიდანვე.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული აქტუალობა საკითხმა კოვიდ პანდემიის პირობებში შეიძინა, როდესაც შეზღუდვებისა და რეგულაციების ფონზე ბავშვები ამოვარდნენ ცხოვრების ყოველდღიური რიტმიდან, შეეცვალათ დღის რუტინა, ცხოვრების წესი. შესაძლოა ითქვას, რომ სწორედ ბოლო დროინდელმა მოვლენებმა განაპირობა მოცემული საკვლევი კითხვის დასმა: არსებობს თუ არა კავშირი ბავშვებში მარტოობის აღქმულ განცდასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ზოგიერთ მახასიათებელს შორის.

კვლევის შედეგად გამოვლინა, რომ მარტოობასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა კომპონენტს შორის მართლაც არის კორელაციური კავშირი. გამოვლინდა როგორც დადებითი ისე უარყოფითი კავშირები. მაგალითად, თუ მარტოობის განცდასა და ქცევით, ემოციურ და თანატოლებთან ურთიერთობის სირთულეებს შორის გვაქვს დადებითი კორელაცია, მარტოობასა და პროსოციალურ ქცევას, ასევე ყურადღების

დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის შემთხვევაში გვაქვს უარყოფით კორელაციური კავშირი. მოცემული კვლევის ფარგლებში დასტურდება, რომ თუ ბავშვებში არის მარტობის განცდისადმი მიდრეკილება, ჩნდება მეტი ალბათობა ქცევითი, ემოციური და თანატოლებთან ურთიერთობის სირთულეებისა, ხოლო ჰიპერაქტივობისა და ყურადღების დეფიციტის, ასევე პროსოციალური ქცევის გამოვლენის ალბათობა მცირდება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ბავშვებში მარტობის განცდასთან.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მარტობის განცდა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ქცევითი სირთულეები, პროსოციალური ქცევა, სოციალური და ემოციური სირთულეები.

## Abstract

The following paper aims to find a link between the perceived feeling of loneliness in children and their mental health. In general, mental health is a broad term that encompasses different aspects. However, in this study it will be only divided into five components: emotional difficulties, conduct problems, ADHD, interaction with peers and prosocial behaviors.

In the course of the study there will be established a connection between the feeling of loneliness in children and the above mentioned five components independently. The matter gained even more importance on account of increased number of cases in children with mental health problems. At the same time, more and more children from an early age express feeling of loneliness.

It should be mentioned that the topic gained significance during the covid pandemic. Because of lockdowns and regulations, the daily routine and lifestyle of children has been altered and changed. It could be said that the recent events are the exact reason that got us interested in the subject and made us question whether there is a connection between the perceived feeling of loneliness in children and certain characteristics of mental health.

Our study has shown that there is in fact a correlation between these two components. Both positive and negative correlations were established, for example, there is a positive correlation between loneliness and conduct problems, emotional problems and difficulty with social interaction, while a negative correlation exists between loneliness and prosocial behaviour and ADHD. The study shows us that if a child often feels lonely, there is a higher chance that he/she will develop emotional, behavioral problems and will find it difficult to communicate with peers and at the same time, it is unlikely that a child will manifest ADHD and prosocial behavior if we are dealing with a child who often expresses the feeling of loneliness.

**Key words:** Loneliness, emotional difficulties, conduct problems, ADHD, interaction with peers and prosocial behaviour.